ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა გულისხმობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის და ფოცხო-ეწერის ტერიტორიის დასუფთავების უზრუნველყოფას რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და ქალაქის ტერიტორიის დახვეტას, ნაგვის ურნებში განთავსებას, სანაგვე კონტეინერების გარეცხვას, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოძრაობის აღკვეთა, ქალაქის ტერიტორიის თოვლის საფარისგან გაწმენდა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. ამ მიმართულებით ქ.ჯვარს ემსახურება 17 მეეზოვე რომელიც ყოველდღიურად ასუფთავებს 70000კვ/მ ფართობს და 1 ნაგავმზიდი მანქანა, რომელსაც ყოველდღიურად გააქვს ნარჩენები ნაგავსაყრელზე (ქ.ზუგდიდი) პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის" ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოვეები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.

ბ) ჩამდინარე წყლების მართვა

პროგრამის დასახელება	კოდი	ჩამდინარე წყლების მართვა	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		93.3
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მომსახურება, მიწების შეკეთება-შეცვლა, ჭეხისა და საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა-გასუფთავება, სეპტიკებისა და საპირფარეშოების ამოწმენდა სპეცტექნიკით, არსებული ჭეხის რემონტი, ჭეხის თავსახურებისა და გარე ჩარჩოების შეცვლა, გამწმენდი ნაგებობების მომსახურება.	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		მთელი წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირება.	

ბ.ა) ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია ქ. წალენჯიხაში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია ქ. წალენჯიხაში	დაფინანსება ათას ლარში
	03 02 02 01		78.4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური"	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მომსახურება, მიწების შეკეთება-შეცვლა, ჭეხისა და საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა-გასუფთავება, სეპტიკებისა და საპირფარეშოების ამოწმენდა სპეცტექნიკით, არსებული ჭეხის რემონტი, ჭეხის თავსახურებისა და გარე ჩარჩოების შეცვლა, გამწმენდი ნაგებობების მომსახურება. აღნიშნული მომსახურების ხარისხიანად და ეფექტურად განსახორციელებლად გათვალისწინებულია სპეცტექნიკის (მეორადი ასინიზატორი) შეძენა.	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირება.	



ბ.ბ) ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია ქ. ჯვარში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის ექსპლოატაცია ქ. ჯვარში	დაფინანსება ათას ლარში
	03 02 02 02		14.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.ჯვარის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური”		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ჯვარსა და ფოცხო ეწერის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მომსახურება, მიწების შეკეთება-შეცვლა, ჭებისა და საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა-გასუფთავება, სეპტიკებისა და საპირფარეშოების ამოწმენდა სპეცტექნიკით, არსებული ჭების რემონტი, ჭების თავსახურებისა და გარე ჩარჩოების შეცვლა, გამწმენდი ნაგებობების მომსახურება.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირება.		

გ) გამწვანების ღონისძიებები

პროგრამის დასახელება	კოდი	გამწვანების ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	03 03		75.5
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების გამწვანება, ქუჩების გამწვანება. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული გაზონების მრავალწლიანი მცენარეების დარგვა. მერიის შენობის წინ არსებულ სკვერში ყვავილების დარგვა, ნარგავების შექმნა, ნარგავების მორწყვა, მინერალური სასუქების შეტანა. არსებულ დეკორაციების მოვლა, გათიბვა, ხელსაწყოების შექმნა, გასათიბი მექანიზმის შექმნა, შენახვა, ექსპლოატაცია და რემონტი. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 ქვეპროგრამა : 1. გამწვანების ღონისძიებები ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე 2. გამწვანების ღონისძიებები ქ.ჯვარის ტერიტორიაზე		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

გ.ა) გამწვანების ღონისძიებები ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გამწვანების ღონისძიებები ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე	დაფინანსება ათას ლარში
	03 03 01		60.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური”		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქალაქ წალენჯიხის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების გამწვანება, ქუჩების გამწვანება. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული გაზონების მრავალწლიანი მცენარეების დარგვა. მერიის შენობის წინ არსებულ სკვერში ყვავილების დარგვა, ნარგავების შექმნა, ნარგავების მორწყვა, მინერალური სასუქების შეტანა. არსებულ დეკორაციების მოვლა, გათიბვა, ხელსაწყოების შექმნა, გასათიბი მექანიზმის შექმნა, შენახვა, ექსპლოატაცია და რემონტი.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო		



გ.ბ) გამწვანების ღონისძიებები ქ.ჯვარის ტერიტორიაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გამწვანების ღონისძიებები ქ.ჯვარის ტერიტორიაზე	დაფინანსება ათას ლარში
	03 03 02		15.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქალაქ ჯვარის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების გამწვანება, ქუჩების გამწვანება. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული გაზონების მრავალწლიანი მცენარეების დარგვა. სკვერში ყვავილების დარგვა, ნარგავების შექმნა, ნარგავების მორწყვა, მინერალური სასუქების შეტანა. არსებულ დეკორაციების მოვლა, გათიბვა, ხელსაწყოების შექმნა, გასათიბი მექანიზმის შექმნა, შენახვა, ექსპლუატაცია და რემონტი.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

დ) უპატრონო ცხოველების ოპერირება

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების ოპერირება	დაფინანსება ათას ლარში
	03 04		24.0
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შევინარჩუნოთ მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოვახდინოთ ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია. აღნიშნულის მისაღწევად ხორციელდება: მსხვილოფხა და წვრილოფხა ცხოველების გაყვანა ქალაქის ცენტრალური ტერიტორიებიდან, უპატრონო ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში, გარდაცვლილი უპატრონო ცხოველების დამარხვა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 ქვეპროგრამა : 1. უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე 2. უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.ჯვარის ტერიტორიაზე.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

და.ა) უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე	დაფინანსება ათას ლარში
	03 04 01		18.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. წალენჯიხის ტერიტორიაზე უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შევინარჩუნოთ მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოვახდინოთ ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია. აღნიშნულის მისაღწევად ხორციელდება:		



და მიზანი	მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველების გაყვანა ქალაქის ცენტრალური ტერიტორიებიდან, უპატრონო ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში, გარდაცვლილი უპატრონო ცხოველების დამარხვა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შენარჩუნებულია მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო

დ.ბ) უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.ჯვარის ტერიტორიაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.ჯვარის ტერიტორიაზე	დაფინანსება ათას ლარში
	03 04 02		6.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის ტერიტორიაზე უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შევინარჩუნოთ მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოვახდინოთ ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია. უპატრონო ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში, გარდაცვლილი უპატრონო ცხოველების დამარხვა.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შენარჩუნებულია მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

მუხლი 16. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3,393.8 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ორგ.კოდი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
04 00	განათლება	3,393.8	2,425.0	2,430.0	2,435.0
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	2,475.0	2,400.0	2,400.0	2,400.0
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მშენებლობა და რეაბილიტაცია	42.9	0.0	0.0	0.0
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	20.0	25.0	30.0	35.0
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	777.2	0.0	0.0	0.0
04 05	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება	78.8	0.0	0.0	0.0

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება



პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2,475.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურეობისა და კვებითი მომსახურეობისთვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბალის ასაკის ბავშვებისთვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და ხარისხიანი მომსახურეობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 34 საბავშვო ბაღი, სადაც შექმნება სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემო, სადაც დაცული იქნება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; საბავშვო ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან. საბავშვო ბაღებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; საბავშვო ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან. ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა. დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზების და კვების რაციონის ნორმები. სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. ყველა პერსონალი დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.</p>		

ბ) საჯარო სკოლების დაფინანსება

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		20.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი/საჯარო სკოლები		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის საფუძველზე მოზარდებში კითხვის სწორი სტრატეგიისა და კულტურის დანერგვა, გუნდური თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, სკოლის მოსწავლეების სასწავლო-შემეცნებითი დონის ამაღლება, მცირე ზომის სარემონტო, სარეაბილიტაციო სამუშაოების და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. აგრეთვე, იმ ღონისძიებების მხარდაჭერა როგორცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შემეცნებითი ინტელექტუალური თამაშების, სამეცნიერო კონკურსების ორგანიზების ხელშეწყობა. სკოლის კურსდამთავრებულთა წახალისება. შემოსული მცირე პროექტების დაფინანსება. მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება. სკოლიდან გასული იმ მოსწავლეების ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა, რომლებიც სკოლიდან გაირიცხნენ, ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით არ შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა-ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა. სასკოლო მზაობის დაფინანსება.</p>		



მოსალოდნელი
საბოლოო შედეგი

მოსწავლეთა ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება; - მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების განვითარება, შემეცნებით კონკურსებში მოსწავლეთა მეტი ჩართულობა, სასწავლო-აკადემიური დონის ამაღლება. - მეტი რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი სასკოლო დაწესებულება. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის, ასევე არასასკოლო განათლების მსურველთა მოტივაციის ამაღლება, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლება

მუხლი 17. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,369.0 ათასი ლარი. პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ორგ.კოდი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,369.0	1,275.0	1,317.0	1,355.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	572.0	580.0	600.0	620.0
05 01 01	სპორტული ცენტრის დაფინანსება	285.0	290.0	300.0	310.0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ცენტრი	287.0	290.0	300.0	310.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	712.0	645.0	665.0	680.0
05 02 01	კულტურის ცენტრის დაფინანსება	535.0	480.0	490.0	500.0
05 02 02	სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	177.0	165.0	175.0	180.0
05 02 03	კულტურული ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	35.0	30.0	30.0	30.0
05 04	ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა	50.0	20.0	22.0	25.0

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა

		დაფინანსება
--	--	-------------



პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	ათას ლარში
	05 01		572.0
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ნიჭიერი ახალი თაობის და პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.		

ა.ა) სპორტული ცენტრის დაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		285.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო საარმზრდელო ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სასპორტო ცენტრი აერთიანებს 9 სპორტულ მიმართულებას, ესენია თავისუფალი ჭიდაობა 4 წრე (69– ბავშვი), კარატე 5 წრე (80–ბავშვი), ჯადრაკი 4 წრე (66– ბავშვი), კალათბურთი 3 წრე (36– ბავშვი), რაგბი (25– ბავშვი) , მძლეოსნობა (16 – ბავშვი) , კრივი(15–ბავშვი), ტაეკვანდო 2 წრე (25– ბავშვი), ფრებურთი (25 ბავშვი) სულ სასპორტო ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 367 ბავშვი, სასპორტო ცენტრში დასაქმებულია 51 კაცი, აქედან 25 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი, 26 მწვრთნელი. პროგრამის მიზანია სპორტის განვითარება ,მწვრთნელთა მივლინება გუნდებთან ერთად, ადმინისტრაციულ ერთეულებში რაიონულ, რეგიონალურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება ,მასობრივი და სამოყვარულო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, გამარჯვებულთა ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვება.სპორტული ობიექტებით, სპორტული ფორმითა და ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტსმენთა ტრანსპორტით მომსახურება, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, ჯანსაღი მომავალი თაობის ჩამოყალიბება.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სასპორტო ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად, ყველა მსურველი დაკმაყოფილდეს ცენტრის მომსახურებით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომი წრეებით.		

ა.ბ) ფეხბურთის განვითარების ცენტრი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		287.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი „სქური“		
	პროგრამის მიზანია სტადიონების (მოედნების) მომზადების უზრუნველყოფა საფეხბურთო მატჩების		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჩატარებისათვის: ინფრასტრუქტურის - საფეხბურთო მოედნების, აბანო -გასახდელების მომზადება, უსაფრთხოების დაცვა, სტადიონების რადიოფიცირება, რეგიონალური ლიგის გუნდის და ჭაბუკთა 4 სამეჯიბრო გუნდის მონაწილეობის უზრუნველყოფა ეროვნულ და რეგიონალურ ჩემპიონატებში.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეგიონლიგის მატჩებისთვის და ბავშვთა ასაკობრივი გუნდების შეჯიბრებებისათვის სათანადოდ მომზადებული სტადიონები; ფინანსურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფილი მონაწილეობა შესაბამის ტურნირებში

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02		712.0
პროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, ასევე, სადღესასწაულო დღეებში ჩატარდება გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ქართული ფოლკლორის შენარჩუნება. ტურიზმის განვითარება.		

ბ.ა) კულტურის ცენტრის დაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		535.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“. ქვეპროგრამის მიზანია ქართული ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომლობა ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან, ცალკეულ ხელოვანებთან, სხვადასხვა დარგის დამსახურებულ მოღვაწეებთან, კულტურულ ღონისძიებებს ჩატარება და მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში. სახვითი დეკორატიული-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენის მოწყობა, ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა, სახალხო დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიებების ჩატარება („გრანელობა“, „ტარასობა“ და სხვა). კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კლუბების და კულტურის სახლების ფუნქციონირებას. ცენტრი, აგრეთვე, კოორდინაციას უწევს ტერენტი გრანელის სახელობის მუზეუმს, ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ლეო ქიაჩელის მუზეუმს, აკადემიკოს ტარას კვარაცხელიას სახელობის მუზეუმს, აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახლ-მუზეუმს, რომლებშიც დაცულია მათი ცხოვრების ამსახველი ფოტომასალები და პირადი ნივთები. მუზეუმები სისტემატურად ღებულობენ დამთვალიერებლებს, მათ შორის უცხოელ ტურისტებსაც. მუზეუმებში ჩამოყალიბებულია ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბები, სადაც ტარდება საინტერესო კულტურული, სამეცნიერო და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია საზოგადოების ფართო ფენებისათვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ხელმისაწვდომობა		



ბ.ბ) სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		177.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრში ორი განყოფილებაა გაერთიანებული, სახელოვნებო განყოფილება (სამუსიკო სკოლა) და საგანმანათლებლო განყოფილება (მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი) ორივე განყოფილებაში სკოლისგარეშე განათლებას იღებს 300 მოსწავლე. ცენტრში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს 36 თანამშრომელს(ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები). დაფინანსება 150000ლარი. საგანმანათლებლო განყოფილებაში ფუნქციონირებს 14 სხვადასხვა წრე (კომპიუტერის, თექის, ხატვის, მხატვრული კითხვის, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების, ქორეოგრაფიის დაა. შ.სახელოვნებო განყოფილებასთან არსებობს ფოლკლორული ანსამბლი "ლაკადა", ხალხურ საკრავთა ორკესტრი "თითა" სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის მიზანია შემოქმედებითი მიდრეკილების მქონე მოსწავლეთა გამოვლენა და ხელშეწყობა, განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა წარმოჩენა, კულტურულ-შემეცნებითი, საქველმოქმედო ღონისძიებების, კონცერტების ჩატრება მუნიციპალიტეტში, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე საზღვარგარეთ. წრეები მუშაობენ შეუფერხებლად ნორმალურ პირობებში. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის მიმდინარე ხარჯები(ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის ორივე განყოფილება მუშაობს შეუფერხებლად. დაკმაყოფილებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა.სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.		

მუხლი 18. მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,493.4 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ორგ.კოდი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა	1,493.4	1,187.0	1,240.4	1,242.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	370.4	353.0	363.0	373.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	130.0	130.0	135.0	140.0
06 01 02	ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	100.0	115.0	118.0	120.0
06 01 03	ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპიული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება	30.0	30.0	32.0	35.0
06 01 04	თირკმლის დიალეზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	30.0	25.0	25.0	25.0
06 01 05	მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ	60.0	48.0	48.0	48.0



	პირთა ფინანსური მხარდაჭერა				
06 01 06	აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა	10.0	5.0	5.0	5.0
06 01 07	„საქართველო C ჰეპატიტის გარეშე“ სახ. პროგრამით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსება	0.0	0.0	0.0	0.0
06 01 09	საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა და რეაბილიტაცია	10.4	0.0	0.0	0.0
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	609.0	443.0	453.0	448.0
06 02 01	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები	70.0	50.0	50.0	50.0
06 02 02	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	35.0	30.0	35.0	40.0
06 02 03	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება	25.0	30.0	30.0	30.0
06 02 04	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	390.0	275.0	280.0	280.0
06 02 05	შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა	35.0	35.0	35.0	35.0
06 02 06	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	17.0	10.0	10.0	10.0
06 02 07	საომარი მოქმედებების და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 08	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა	17.0	10.0	10.0	0.0
06 02 09	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარება	3.0	1.0	1.0	1.0
06 02 10	სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომპატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	2.0	2.0	2.0	2.0
06 02 11	დიდი სამამულო ომის მონაწილე მოქალაქეთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა	5.0	0.0	0.0	0.0
06 02 12	წარჩინებულ სტუდენტთა სწავლის საფასურის თანადაფინანსება	10.0	0.0	0.0	0.0
06 03	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	100.0	85.0	90.0	95.0
06 04	სარიტუალო მომსახურება	15.0	10.0	10.0	10.0
06 04 01	ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი	10.0	5.0	5.0	5.0
06 04 02	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი.	5.0	5.0	5.0	5.0
06 05	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა	280.0	290.0	300.0	310.0
06 06	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის	94.6	0.0	0.0	0.0



	მიზნით ფულადი დახმარება				
06 07	ა(ა)იპ „კეთილი სამართელი“-2014 თანადაფინანსება	6.0	6.0	6.0	6.0
06 08	ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობა	8.4	8.4	8.4	8.4
06 09	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	10.0	10.0	10.0	10.0

ა) ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		370.4
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის განხორციელებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპიული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება თირკმლის დიალეზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა „საქართველო C ჰეპატიტის გარეშე“ სახ. პროგრამით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსება საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა და რეაბილიტაცია 		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.</p>		

ა.ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		130.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“		
	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: საგანმანათლებლო, აღზრდით და საგანმანათლებლო-		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღზრდელით დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; საგანმანათლებლო, აღზრდელით და საგანმანათლებლო-აღზრდელით დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციას და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტ აღრიცხვას, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწას და გაუმჯობესებას; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივ შემცირებას მისი კონტროლის გზით; ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობას და მათზე სწრაფ რეაგირებას, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას; არაგადამდებ დაავადებათა პრევენციას და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცვას მოსახლეობის ინფორმირების გზით.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მეტად დაცული ჯანმრთელობის მდგომარეობა

ა.ბ) ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 02		100.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამა ითვალისწინებს პაციენტის დაფინანსებაში თანამონაწილეობას და გამოითვლება შემდეგი წესით:</p> <p>ა) თუ საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხა მთლიანი ღირებულების 70%-ზე მეტია, დაფინანსდება პაციენტის გადასახდელი თანხის ნახევარი;</p> <p>ბ) ხოლო თუ საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხა 70%-ზე ნაკლებია-დაფინანსდება საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხის 25%;</p> <p>გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დასაფინანსებელი თანხის ოდენობა განსაზღვრულია არანაკლებ 50 და არაუმეტეს 700 ლარის ოდენობით. პროგრამა არ ითვალისწინებს საყოველთაო დაზღვევით 100%-ით დაფინანსების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერიის მონაწილეობას თანადაფინანსებაში.</p> <p>2. პროგრამაში ჩართვა ხორციელდება:</p> <p>ა) საგარანტიო წერილის გაცემით, რომელიც დაფინანსდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ;</p> <p>ბ) სტაციონარული მომსახურების გაწევის შემდგომ ბენეფიციარის მომართვის შემთხვევაში.</p> <p>3. დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით განმცხადებლის პირად საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით;</p> <p>4. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:</p> <p>ა) ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100;</p> <p>ბ) საყოველთაო დაზღვევის საგარანტიო წერილის ასლი;</p> <p>გ) სასწრაფო გადაუდებელ შემთხვევაში საყოველთაო დაზღვევის კალკულაცია. 5. საყოველთაო დაზღვევით გათვალისწინებული დაფინანსება გამოითვლება მომსახურების მიმწოდებლის ტარიფის არეალის ზედა ზღვარზე დაფიქსირებული ღირებულებებიდან.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ფინანსური დახმარება და მათი პირობების გაუმჯობესება.		



ა.გ) ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 03		30.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამის ბენეფიციარები არიან ფსიქიკური აშლილობით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის გარდა დამატებით საჭიროებენ ძვირადღირებული მედიკამენტებით მკურნალობას;</p> <p>2. ბენეფიციართა შერჩევა ხდება შესაბამისი ფსიქონარკოლოგიური დისპანსერიდან ყოველკვარტალურად მოწოდებული მონაცემების საფუძველზე;</p> <p>3. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100 საჭირო ძვირადღირებული მედიკამენტის მითითებით.</p> <p>4. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე, ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 50 ლარის ჩარიცხვას და გათვლილია 50 ბენეფიციარზე.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ა.დ) თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება	კოდი	თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 04		30.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამის ბენეფიციარები არიან პაციენტები, რომლებიც ჩართული არიან თირკმლის დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და სისტემატიურად უწყვეტ გადაადგილება სხვა ქალაქში;</p> <p>2. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 100 ლარის ჩარიცხვას;</p> <p>3. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს თირკმლის დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის დამადასტურებელი ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100. პროგრამა გათვლილია 25 ბენეფიციარზე.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ა.ე) მუდმივად ან/და სისტემატიურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუდმივად ან/და სისტემატიურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 05		60.0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამის ბენეფიციარები არიან იშვიათი დაავადების მქონე პაციენტები (გაფანტული სკლეროზი, სირინგომიელია, მოტონირონთა დაავადება, კუნთთა პროგრესული დისტროფია, ბავშვთა ცერებრალული დამბლა, სისტემური სკლეროდერმია, აუტოიმუნური ჰეპატიტი, რეტის სინდრომი, სისტემური წითელი მგლურა, ლეიკემია -ლეიკოზი, პარკისონის დაავადება, ცელიაკია), რომლებიც მუდმივად ან სისტემატურად საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობასა და კლინიკო-ლაბორატორიულ კვლევებს.</p> <p>2. ბენეფიციარმა სამედიცინო კლინიკიდან უნდა წარმოადგინოს დიაგნოზის დამადასტურებელი ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100 საჭირო მკურნალობისა და კვლევების მითითებით.</p> <p>3. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით, პირად ანგარიშზე 100 ლარის ჩარიცხვას. პროგრამა გათვლილია 50 ბენეფიციარზე.</p>
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ა.ვ) აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 06		10.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>1. პროგრამის ბენეფიციარები არიან ასა-ს მქონე 2 დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა მშობლები წარმოადგენენ ნეიროგანვითარების ცენტრის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, „ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის“, რეგისტრირებული კავშირის</p> <p>„საქართველოს ბავშვები“, მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის და სხვა ლიცენზირებული დაწესებულებების ბენეფიციარისთვის ჩასატარებელი ღონისძიებების შესაბამის ხარჯთაღრიცხვას, დიაგნოზის დამადასტურებელი ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100-ს, ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლს და ერთერთი მშობლის პირადობის მოწმობის ასლს.</p> <p>2. მუნიციპალიტეტის მერის მიერ ბენეფიციარზე გაცემა საგარანტიო წერილი ჩასატარებელი ღონისძიებების ღირებულების 70%- ის ოდენობით დაფინანსებაზე, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა, რომელიც დაფინანსდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ.</p> <p>3. აღნიშნული პროგრამით ბენეფიციარს შეუძლია ისარგებლოს წელიწადში ორჯერ. პროგრამა გათვლილია 5 ბენეფიციარზე.</p>	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.	



ბ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02		609.0

ბ.ა) მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		70.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. მუნიციპალიტეტის მერის მიერ დადგენილი ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამავე ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობით პროგრამით მოსარგებლე შეიძლება გახდეს მოქალაქე, რომელსაც აქვს მძიმე ყოფითი პრობლემები და საჭიროებს ფულად დახმარებას (თითოეულ ბენეფიციარზე 50 დან 200 ლარამდე გასაცემი თანხის მითითებით);</p> <p>2. ერთჯერადის ფულადი დახმარების გაწევა ხდება ოჯახის რომელიმე წევრზე წელიწადში ერთხელ. უპირატესობა მიენიჭება სოციალურად დაუცველ ოჯახებს;</p> <p>3. სასწრაფო-გადაუდებელ შემთხვევებში მუნიციპალიტეტის მერი „სოციალური კომისიის“ გარეშე ღებულობს გადაწყვეტილებას ერთდროული დახმარების გაწევის თაობაზე თითოეულ ბენეფიციარზე 100 ლარიდან, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა, პროგრამისთვის განსაზღვრული წლიური თანხის 15%- ის ფარგლებში;</p> <p>4. დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით განმცხადებლის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა		

ბ.ბ) ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		35.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამა ითვალისწინებს ბიოლოგიური დედის რიგით პირველ და მეორე ცოცხლად შობილ შვილზე ერთჯერად ფულად დახმარებას 300 ლარის ოდენობით .(ტყუპების შემთხვევაში ცოცხლადშობილ ბავშვზე გაიცემა 300 ლარი);</p> <p>2. წარმოსადგენი დოკუმენტაცია:</p> <p>ა) ახალშობილის დაბადებისა და ერთერთი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;</p> <p>ბ) ცნობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან ახალშობილის რიგითობის შესახებ .</p>		



	3. დაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით განმცხადებლის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.
მოსალოდნელი შედეგი	ახალშობილთა ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ბ.გ) საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		25.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამით მოსარგებლენი არიან საზოგადოების ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანები (ომისა და შრომის ვეტერანები, პენსიონერები, 100 წელს გადაცილებული პირები და ა.შ.), აფხაზეთისა და 8 აგვისტოს საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა, ასევე სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული საჯარო და ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელთა ოჯახები, რომელთაც საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით გაეწევათ ერთჯერადი ფულადი და / ან მატერიალური დახმარება.</p> <p>2. სოციალური ჯგუფების შერჩევა და ბენეფიციარზე გასაცემი თანხის ოდენობა და/ან მატერიალური დახმარების ჩამონათვალი განისაზღვრება შესაბამისი „სოციალური კომისიის“ მიერ. თითოეულ ბენეფიციარზე აღნიშნული დახმარება გაიწევა წელიწადში ერთხელ;</p> <p>3. ბენეფიციართა სიები მიიღება სოციალური მომსახურების სააგენტოდან და/ან ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისგან.</p>		

ბ.დ) მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		390.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>1. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ოთხი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი და წარმომადგენენ შვილების დაბადების მოწმობის ასლებს, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლს - ასეთის არსებობის შემთხვევაში, ერთერთი მშობლის პირადობის მოწმობის ასლს და პირადი საბანკო ანგარიშის ნომერს;</p> <p>2. მრავალშვილიანი ოჯახის თითოეულ არასრულწლოვან შვილზე ყოველთვიურად გაიცემა დახმარება 50 ლარის ოდენობით.</p>		

ბ.ე) შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის	კოდი	შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური	დაფინანსება ათას ლარში
--------------	------	---	------------------------



დასახელება	06 02 05	მხარდაჭერა	35.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
